პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 72 (13754)

კვირა, 26 მარტი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ

მოგილოცავთ მაღალ ჯილდოს, სოფლის მშრომელებო!

დროშები — გამარჯვებულთა!

როგორც გუშინ ვიუწყებოდით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს, სოფლის მეურნეობის განვითარებაში 1966 წელს მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარებაში 1966 წელს მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის გურჯაანის რაიონს, რომელიც სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს, მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და 10 ათასი მანეთი ფულადი პრემია.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს აგრეთვე საქართველოს სსრ გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომა", გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი", ზუგდიდის რაიონის სოფელ [illegible] კოლმეურნეობა „საქართველო", მახარაძის რაიონის სოფელ შრომის [illegible] „[illegible]" კოლმეურნეობა და ახალციხის რაიონის ა[illegible] საბჭოთა მეურნეობა.

თვითეულს, 1966 წელს მოპოვებული [illegible] სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მაღალი ჯილდოს პასუხად ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას რათა სახახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ცნობა

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში გაიმართა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების საოლქო, ნაციონალური ოკრუგების საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების მორიგი არჩევნები. რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, მოლდავეთის, ლატვიის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის მოკავშირე რესპუბლიკებში არჩევნები გაიმართა 1967 წლის 12 მარტს, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, ყირგიზეთის, სომხეთისა და ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკებში — 19 მარტს.

არჩევნები მიმდინარეობდა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით გამოწვეული მშრომელთა მაღალი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის, საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის გაჩაღებული საყოველთაო სახალხო მზადების ვითარებაში.

არჩევნებისათვის შეიქმნა 2.266.090 საარჩევნო კომისია, რომლებშიც 9.049.189 კაცი მუშაობდა. კომისიათა შემადგენლობაში იყო 3.974.874 ქალი, ანუ 43,9 პროცენტი, 2.886.995 პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 31,9 პროცენტი, 6.162.194 უპარტიო, ანუ 68,1 პროცენტი. კომისიათა შემადგენლობაში იყო 783.438 სრულიად საკავშირო ალკკ-ს წევრი, ანუ 8,7 პროცენტი.

მთელი ჩვენი ქვეყნის ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 146.075.945 ამომრჩეველი, რომელთაგან არჩევნებში მონაწილეობდა 146.013.956 ამომრჩეველი, ანუ 99,96 პროცენტი.

ქვემოთ მოყვანილია მონაცემები მოკავშირე რესპუბლიკებში ამომრჩეველთა რიცხვისა და არჩევნებში მათი მონაწილეობის შესახებ:

მოკავშირე რესპუბლიკები	ამომრჩეველთა საერთო რიცხვი	კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი: აბსოლუტური ციფრი	პროცენტი
რუსეთის სფსრ	81.488.288	81.445.729	99,95
უკრაინის სსრ	30.886.039	30.881.252	99,98
ბელორუსიის სსრ	5.547.641	5.545.739	99,97
უზბეკეთის სსრ	5.233.353	5.232.967	99,99
ყაზახეთის სსრ	6.624.576	6.623.468	99,98
საქართველოს სსრ	2.698.853	2.698.828	99,99
აზერბაიჯანის სსრ	2.326.873	2.326.529	99,99
ლიტვის სსრ	1.939.655	1.938.030	99,92
მოლდავეთის სსრ	2.015.299	2.013.684	99,92
ლატვიის სსრ	1.652.150	1.648.879	99,80
ყირგიზეთის სსრ	1.364.321	1.364.018	99,98
ტაჯიკეთის სსრ	1.244.465	1.244.174	99,96
სომხეთის სსრ	1.159.829	1.159.381	99,96
თურქმენეთის სსრ	969.567	969.303	99,97
ესტონეთის სსრ	925.036	921.980	99,67
ბელორუსიის სსრ	5.540.041	99,90	421
უზბეკეთის სსრ	5.225.437	99,86	458
ყაზახეთის სსრ	6.606.029	99,74	476
საქართველოს სსრ	2.698.265	99,98	399
აზერბაიჯანის სსრ	2.324.706	99,92	380
ლიტვის სსრ	1.937.134	99,95	290
მოლდავეთის სსრ	2.011.392	99,89	315
ლატვიის სსრ	1.647.286	99,90	310
ყირგიზეთის სსრ	1.359.626	99,68	339
ტაჯიკეთის სსრ	1.241.772	99,81	315
სომხეთის სსრ	1.157.534	99,84	310
თურქმენეთის სსრ	957.655	99,83	285
ესტონეთის სსრ	918.616	99,64	178

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის შეიქმნა 5.830 საარჩევნო ოლქი, ანუ 69 ოლქით მეტი, ვიდრე წინა მოწვევის არჩევნებში 1963 წელს.

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 145.736.412 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვის 99,81 პროცენტს. წინააღმდეგ მისცა ხმა 277.055 კაცმა. გაუქმებულად ჩაითვალა 489 საარჩევნო ბიულეტენი.

თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკაში მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს და არჩეული არიან დეპუტატებად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში არჩევნები არ ჩატარებულა დეპუტატობის კანდიდატის გარდაცვალების გამო.

ქვემოთ შოგვყავს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები:

მოკავშირე რესპუბლიკები	დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი	პროცენტებით კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვისადმი	დეპუტატად არჩეულთა რიცხვი
რუსეთის სფსრ	81.242.085	99,75	884
უკრაინის სსრ	30.858.884	99,93	469

საქართველოს სსრ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 2.266.090 საარჩევნო ოლქი, ანუ 69 ოლქით მეტი, ვიდრე 1963 წლის არჩევნებამდე. ოლქებში ჩაბარებულ 9.049.189 ამომრჩეველთა სიაში 146.075.945 ამომრჩეველი, ანუ 99,96 პროცენტი. ამ ამომრჩეველთა ნებისყოფა 146.013.956 ამომრჩეველმა, ანუ 99,96 პროცენტი, ოლქებში ჩაბარებულ 9.049.189 ამომრჩეველთა ნებისყოფა 9.049.189 ამომრჩეველმა, ანუ 100 პროცენტი, 2.886.995 პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 31,9 პროცენტი, 6.162.194 უპარტიო, ანუ 68,1 პროცენტი. ოლქებში ჩაბარებულ 9.049.189 ამომრჩეველთა ნებისყოფა 9.049.189 ამომრჩეველმა, ანუ 100 პროცენტი, 3.974.874 ქალი, ანუ 43,9 პროცენტი, 783.438 სრულიად საკავშირო ალკკ-ს წევრი, ანუ 8,7 პროცენტი.

ოლქებში ჩაბარებულ 9.049.189 ამომრჩეველთა ნებისყოფა 9.049.189 ამომრჩეველმა, ანუ 100 პროცენტი, 2.886.995 პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 31,9 პროცენტი, 6.162.194 უპარტიო, ანუ 68,1 პროცენტი. ოლქებში ჩაბარებულ 9.049.189 ამომრჩეველთა ნებისყოფა 9.049.189 ამომრჩეველმა, ანუ 100 პროცენტი, 3.974.874 ქალი, ანუ 43,9 პროცენტი, 783.438 სრულიად საკავშირო ალკკ-ს წევრი, ანუ 8,7 პროცენტი.

ამ ამომრჩეველთა ნებისყოფა 146.013.956 ამომრჩეველმა, ანუ 99,96 პროცენტი, 145.736.412 ამომრჩეველმა, ანუ 99,81 პროცენტი, 277.055 კაცმა, 489 საარჩევნო ბიულეტენი.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეულია 5.829 დეპუტატი, აქედან 3.867 მამაკაცი, ანუ 66,34 პროცენტი, 1.962 ქალი, ანუ 33,66 პროცენტი, 3.989 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 68,43 პროცენტი, უპარტიო 1.840, ანუ 31,57 პროცენტი, 1.500 მუშა, ანუ 25,73 პროცენტი, 1.346 კოლმეურნე, ანუ 23,09 პროცენტი.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები

20 ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის შეიქმნა 2.925 საარჩევნო ოლქი, ანუ 88 ოლქით მეტი, ვიდრე წინა არჩევნების დროს. არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებში მონაწილეობდა 10.919.014 ამომრჩეველი, ანუ 99,97 პროცენტი.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 10.882.377 ამომრჩეველმა, ანუ 99,66 პროცენტმა. წინააღმდეგ ხმა მისცა 36.593 კაცმა. გაუქმებულად ცნეს 44 საარჩევნო ბიულეტენი.

(დასასრული მე-2 გვ.)

ნოგათეგი სამეშოგლოს

△ **სამხრეთ ოსეთის** სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირველი წარმატება მოიპოვეს საიუბილეო წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში, — აცნობა „კომუნისტს" რედაქციას პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ზ. გელაშვილმა. 20 მარტისათვის გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 6.419 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 5.800 ცენტნერისა, ანუ დაგალება შესრულდა 110,6 პროცენტით. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 872 ცენტნერით მეტი ხორცი. ამ საქმეში თავი ისახელეს ჯავისა და ცხინვალის რაიონებმა.

ოლქის მშრომელებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 8.894 ცენტნერი რძე ნაცვლად 7.300 ცენტნერისა. ეს წინა წლის პირველ კვარტალში ჩაბარებულთან შედარებით 2.903 ცენტნერით მეტია. რძის ჩაბარებაში კარგი მაჩვენებლები აქვთ ლენინგორისა და ზნაურის რაიონებს. სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის დაგალება შესრულებულია 111,1 პროცენტით. ოლქის მშრომელები თავდადებით იბრძვიან ყველა დარგში წარმატების მოპოვებისათვის. მხვნელ-მთესველები უკვე გავიდნენ მინდვრად. დათესილია საგაზაფხულო კულტურების პირველი ჰექტარები.

△ **ახალციხის** რაიონის მშრომელებმა პირობა გაანაღდეს, — გვაცნობეს საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გრძელიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. გელაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. გოგიბერიძემ, — 20 მარტისათვის სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით, რძისა — 120 პროცენტით, კვერცხისა — 107 პროცენტით.

სურათზე: ი.აიხ. სახლის ხედი ჰაეშვიძის პროსპექტზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი ინტერვიუ

გიწვევთ ჩაის სახლი

შარშან შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავის იუბილეს დღეებში ბევრი შესანიშნავი ნაგებობა აშენდა, თბილისი კიდევ უფრო დაამშვენა საცხოვრებელმა სახლებმა. სწორედ შარშან, ოქტომბერში სახელმწიფო უნივერსიტეტის პირდაპირ ეთილმოწყობილ შენობაში გაიხსნა „ჩაის /სახლი". იგი არსებობის ექვს თვეს ითვლის, მაგრამ დროის ამ მცირე მანძილზე დიდი პოპულარობა მოიპოვა. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ეწყობა „ჩაის დღე". ამასთან დაკავშირებით გუშინ გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ეწვია ჩაის სახლის დირექტორ თამარ გვანცელაძეს და სთხოვა ეამბნა ამ ღონისძიების შესახებ.

კვირას დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე ჩაის სახლში ხალხის მასობრივი მიღება იქნება, — განაცხადა თ. გვანცელაძემ, — გადაცემა მოეწყობა ტელევიზიითაც. საღამოს 6 საათისათვის მოვიწვიეთ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები: ნიკო კეკენოველი, ავლაბარ ზურაბაშვილი, გიორგი ახვლედიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, რევაზ ლაღიძე, ლადო გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, რევაზ გაბიჩვაძე, მარიკა ბარათაშვილი და სხვ. რასაკვირველია, არც ის ადამიანები დაგვიწყებია, რომლებმაც „მწვანე ოქროს" მოყვანით საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. მახარაძიდან მოვიწვიეთ თამარ ჩხაიძე, კლავდია ნაცვლაძე, ზუგდიდიდან — თამარ ყუფუნია, ვინარი სხულუხია, ქობულეთიდან — ქეთევან გოგიტიძე, ბალიდან — ციალა ყოლბაია.

„ჩაის სახლი" მოსახლეობაში დიდი მოწონებით სარგებლობს. მისი დანიშნულებაა ჩაის დარგში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების პოპულარიზაცია, აგრეთვე მომხმარებლისათვის ჩაის შენახვისა და მოხმარების წესების გაცნობა.

როგორც ცნობილია, რუსთაველის საიუბილეო დღეებში საქართველოს დედაქალაქი მრავალ უცხოელ სტუმარს მასპინძლობდა. ყველა მათგანმა ინახულა „ჩაის სახლი". ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი იოზეფ კლაუსი, რომელზეც დიდი მთამეტდილება მოახდინა ჩვენმა სახლმა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ჩაის სახლს ემსახურება სტუდენტი ახალგაზრდობა. მათ შორის კარგი მუშაობით თავი გამოირჩინეს თამარ კობახიძემ, ნათელა ბროიერმა, ლიდა აკულიანმა, მანანა მდინარაძემ, მურთაზ ახვლედიანმა, ნიკოლოზ შაიშმელაშვილმა.

მობრძანდით, გიწვევთ ქართულ ჩაიზე.

მობრძანდით ჩაის დღეზე

დღეს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონული ცენტრების საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ეწყობა **„ჩაის დღე"**. ჩაის მოამზადებენ **„საქჩაის"** ტრესტის სისტემის სპეციალისტი ტიტესტერები. ისინი დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე კონსულტაციას გაუწევენ ჩაის დასალევად მოსულ მომხმარებლებს, რომლებსაც აგრეთვე დაურიგდებათ მხატვრულად გაფორმებული ბუკლეტები ჩაის შეხახვისა და დაყენების წესების შესახებ.

„ჩაის დღე" გაიმართება **თბილისის** შემდეგ რესტორანებსა **და** კაფეებში:

კაფე **„ქართული ჩაი"** (რუსთაველის პროსპექტი, 52), კაფე **„გაზაფხული"** (ლენინის, 29), კაფე **„მეტრო"** (იბსენის, 2), კაფე **„ცისკარი"** (ცაგარელის პროსპექტი, 52), კაფე **„ნარგიზი"** (რუსთაველის პროსპექტი, 22), რესტორანი **„საქართველო"** (მელიქიშვილის, 14), რესტორანი **„მოსკოვი"** (მოსკოვის პროსპექტი, 49), რესტორან **არაგვის ხაჩაიე** (აბანოს, 8), **№ 10 კულინარული მაღაზია** (მარქსის მოედანი, 2), **სასადილო № 2** (ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, 2), **სასადილო № 20** (ვაჟა-ფშაველას პროსპექტის VI კვარტალი), **სასადილო № 66** (სტუდენტთა ქალაქი), **სასადილო № 12** (ოქტომბრის, 152), **კაფე № 9** (ბლეხანოვის პროსპექტი, 16), **სასადილო № 59** (ბლეხანოვის პროსპექტი, 115), **კაფე № 47** (შაუმიანის, 5), კაფე **„იასამანი"** (მარჯანიშვილის, 59).

ძვირფასო თბილისელებო, ჩვენი ქალაქის სტუმრებო, დედაქალაქის საზოგადოებრივი კვების საწარმოები გიწვევენ **„ჩაის დღეზე"**.

ჯილდო მპამაცობისათვის

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, ვაჟკაცობისა და თავდაჭერილობისათვის ჩინეთში მუშაობის რთულ პირობებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის საელჩოსა და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლების ჯგუფი.

ვახტანგ გორგასალის ძეგლი

ლენინგრადი, 25 მარტი. (საკდესის კორ.). მალე თბილისში, ძველისძველი მეტეხის ციხის გვერდით აღიმართება ქალაქის დამაარსებლის ვახტანგ გორგასლის ძეგლი.

ძეგლი ბრინჯაოსაგან ჩამოასხა ლენინგრადის „მონუმენტსკულპტურის" ქარხანამ. დღეს ელეგანტურ ამფეშუკელის ახალი ნაწარმოები ნევის ნაპირებიდან თბილისში გაგზავნეს.

საქართველოს მეცნიერების განვითარების პრობლემები

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში

25 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი აკადემიკოსი ა. პ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის, ბიოფიზიკისა და ფიზიოლოგიურად აქტიურ შენაერთთა ქიმიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი აკადემიკოსი მ. მ. შემიაკინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე აკადემიკოსი ნ. პ. შეფლრენკო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო სბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დ. ნოვიკოვი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ბ. ა. ფილიპოვი.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა **აკადემიის** პრეზიდენტმა **აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა.**

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა **სსრ** კავშირის მეცნიერებათა **აკადემიის** პრეზიდენტმა **აკადემიკოსმა** მ. ვ. კელდიშმა, **რომელიც** შეეხო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების, ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხებს, მეცნიერების ორგანიზაციისა და სახალხო მეურნეობაში კვლევის შედეგების დანერგვის პრობლემებს.

აკადემიკოსებმა ა. პ. ალექსანდროვმა, ნ. პ. შეფლრენკომ და მ. მ. შემიაკინმა ილაპარაკეს იმ ამოცანებსა და პრობლემებზე, რომლებზეც მუშაობენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების, გამოყენებითი მექანიკისა და პროცესთა მართვის, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის, ბიოლოგიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების სამეცნიერო დაწესებულებანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მ. ვ. კელდიშს და სხვა ორატორებს.

ქართველ მეცნიერთა სტუმრები საქართველოში ერთი კვირის ყოფნისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის გაცნობის შემდეგ 25 მარტს მოსკოვს გაფრინდნენ. (საქდესი).

ახალგაზრდობის ფლუდები

ახალგაზრდა მევენახეთა და მებაღეთა მესამე რესპუბლიკურ შეკრებაზე

ყვარელი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). აქ მოეწყო ახალგაზრდა მევენახეთა და მებაღეთა მესამე რესპუბლიკური შეკრება. მოხსენებით **„რესპუბლიკის ახალგაზრდა მევენახეთა და მებაღეთა საიუბილეო წლის ამოცანები"** — გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ჩერქეზია.**

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ **გ. ზაუტაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი, **რ. დურგლიშვილი** — საქართველოს ალკკ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, **ზ. ცხვედაძე** — ქარელის რაიონის აბისის კოლმეურნეობის ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი, **თ. ჩიქვინიძე** — მაიაკოვსკის რაიონის დიმის კოლმეურნეობის მევენახე, **გ. შათირიშვილი** — თელავის რაიონის იყალთოს ღვინის ქარხნის ტექნოლოგი, **გ. ლომაძე** — ყვარლის რაიონის ჭიკაანის კოლმეურნეობის მევენახეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, **ლ. ყორღანაშვილი** — სიღნაღის რაიონის ანაგის სამშვილო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე, **ვ. სუხიშვილი** — საქართველოს ალკკ გორის რაიკომის პირველი მდივანი, **ბ. კუპრაძე** — ახალციხის რაიონის წნისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, **ო. ცოტნიაშვილი** — ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის მებაღე, **ს. გოგიაშვილი** — ყვარლის რაიონის შილდის კოლმეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, **შ. ჯიღლაძე** — საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **რ. მექვეურიშვილი** — ახმეტის რაიონის მაღრანის კოლმეურნეობის აგრონომი, **ზ. გილაშვილი** — საგარეჯოს რაიონის მანავის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი.

შეკრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამბასანაგი **ვ. პ. მეჟავანაძე.**

რესპუბლიკის მევენახეობისა და მებაღეობის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ახალგაზრდულ მოწინავე ბრიგადებსა და რგოლებს გადაეცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები, ხოლო ახალგაზრდა მევენახეებსა და მებაღეებს — დიპლომები და სიგელები.

შეკრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს სოციალისტური ვალდებულებანი საიუბილეო წლისათვის.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **შ. ი. ჭანუყვაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ბ. გელდიაშვილი,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **მ. ბ. ღვინჭილია.**

საბჭოთა ქალშირ-რუმინეთის თანამშრომლობა

მოსკოვი, 25 მარტი. (საკდესი). დღეს მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა ქალშირ-რუმინეთის მოლაპარაკება, რომელიც 20 მარტს დაიწყო. მხარეებმა ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის 1966-67 წლების გეგმის დამატებით ოქმს. ოქმში **დასახელებულია ღონისძიებანი,** რომლებიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავსა და რუმინელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — განთავისუფლების დღეს. ამ ღონისძიებათა შორისაა რუმინეთის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კულტურის დღეები რუმინეთში.

რუმინეთის ქალაქების მცხოვრებნი გაეცნობიან საქართველოს მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებს, ესტონეთის საესტრადო კოლექტივს, ნახავენ საბჭოთა ფილმებს, დათვალიერებენ საბჭოთა წიგნის, ალბომ-ტექტურისა და სხვა გამოფენებს. დ. ენესკუს სახელობის საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც რუმინეთში მიმდინარეობს, გამოვა მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი.

მოსკოვსა და სხვა ქალაქებში გაიმართება ბულგარელების სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრისა და ანსამბლი „რუმინული რაფსოდიის" გასტროლები. გაიხსნება თანამედროვე მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენები, მიეწყობა რუმინული ფილმების ფესტივალი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა დასახეს ღონისძიებანი, რომ კიდევ უფრო განავითარონ თანამშრომლობა მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის დარგში.

უმაღლეს სასწავლებელს გაძლეცა ჯილდო

24 მარტს კრემლის თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა უძველესი უმაღლესი სასწავლებლის — მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემას.

ინსტიტუტი დაჯილდოდა სახალხო განათლებისათვის კადრების მომზადებაში დამსახურებისა და მეცნიერული კვლევის განვითარებისათვის.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩევი. მან გულითადად მიულოცა უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს ჯილდო და უსურვა **ახალი** წარმატებანი მეცნიერების განვითარებაში **და** პედაგოგთა **კადრების** მომზადებაში. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-152"

1967 წლის 25 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-152".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 92,2 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 512 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 283 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 71 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ცნობა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

(დასასრული)

ყველა საარჩევნო ოლქში ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებმა მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და აირჩიეს დეპუტატებად.

ქვემოდ მოგვყავს მონაცემები თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ:

| ავტონომიური რესპუბლიკა | დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა | | |

საუკთესო ცხოვრება

მეგობრობის კვირეული

დელი, 25 მარტი. (საკდესი). გუშინ დაიწყო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კვირეული, რომელიც ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოებამ მოაწყო ამ საზოგადოების 15 წლისთავთან დაკავშირებით.

განვლილ თხუთმეტ წელიწადში ამ საზოგადოებამ, რომელსაც ამჟამად მეთაურობს ინდოეთის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, დიდი წვლილი შეიტანა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

დელიში კვირეული დაიწყო სემინარით, რომელიც მიეძღვნა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას სხვადასხვა დარგში.

ტრანსპორტისა და ნაოსნობის მინისტრმა ე. რამ, რომელმაც სემინარი გახსნა, განაცხადა, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას საფუძველად უდევს არა შემთხვევითი მომენტები, არამედ ისეთი მუდმივი ფაქტორები, როგორიცაა მისწრაფება მშვიდობისადმი, თანამშრომლობისადმი, ერთმანეთის პატივისცემა და ურთიერთგაგება.

სემინარის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ თურქმენ პოეტს ა. ქ. კოვეუსო

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა

მზეგრძელობა თეატრს!

ხვალ თეატრის საერთაშორისო დღეობაა. ამ საგაზაფხულო სათეატრო დღესასწაულის მაღალ ჰუმანისტური დედაარსი თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის 1961 წელს ვენაში ჩატარებული მეცხრე კონგრესის მიერ არის გამოთქმული: თეატრი ხალხთა ურთიერთგაგების, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების გზა და ხიდია...

ქართული სახიობა ოდითვე ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და მშვიდობის მქადაგებელი იყო. აკი მეათე საუკუნის დიდი ქართველი შემოქმედი, გალობათმთბზველი პოეტი და მუსიკოსი მიქელ მოდრეკილი ღაღადებდა: „მოჰმადლე ძლევაი... მტერთა ურწმუნოთა წინააღმდეგ მთაი და წარუმართე საბიერ, აწ ფერხთა ჩუენთა გზასა მშვიდობისასა“.

მშვიდობის გზაზე, ხალხთა ურთიერთგაგების გზასა და ხიდზე პოულობდა ხელოვნება თავის დიდ შთაგონებას, დიადი იდეებისათვის ბრძოლის ნიჭსა და უნარს, ადამიანის სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის.

და ამ სადღესასწაულო დღეს, როცა ვზეიმობთ თეატრის საერთაშორისო დღეს, ჩვენი სურვილია, რომ ქართულმა სასცენო ხელოვნებამ ღირსეულად გაართვას თავი თავის მოწოდებას: ამრავლოს ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის მონაპოვარი, მაყურებელს უნერგავდეს მოქალაქეობრივ, მაღალზნეობრივ თვისებებს, მტკიცე იდეურობას, სასარგებლო შრომისადმი პატივისცემოკიდებულებას, გარჯასა და თავდადებას, ხელს უწყობდეს მოზარდი თაობის განვითარებას.

დიე ჩვენი თეატრი კვლავაც და ყოველთვის იყოს ჩვენი ხალხის მისწრაფებათა, მისი აზრის და გრძნობის სიწრფელით და სიმართლით, სილამაზითა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით გამომსახველი.

სათეატრო დღეობის აღნიშვნისას არ შეიძლება არ ვუსურვოთ ჩვენს თეატრებს, რომ მათ წარმატებით დაიგვირგვინონ მზადება ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. გვჯერა, რომ ჩვენი თეატრები განახორციელებენ ისეთ წარმოდგენებს, რომლებიც მაღალი იდეურობით და შესრულებით სრულქმნილი იქნებიან.

წარმატებას ჩვენი თეატრები იმ შემოხვევაში მიაღწევენ, თუ თავგამოდებით და გულისხმიერებით განაგრძობენ მშობლიური დრამატურგიის მხარდაჭერას, მისთვის შეუნელებელ მზრუნველობას. ჩვენს მწერლებსაც გულში ამოჭრილი უნდა ჰქონდეთ ჭეშმარიტება: ეროვნულ თეატრს ქმნის, მას მსახიობებს უზრდის და ავაჟკაცებს ეროვნული დრამატურგია.

ხელოვნების წინსვლა და განვითარება დიდად განსულდებოდა, წარსულის გამოცდილების ათვისება რომ არ ყოფილიყო, ამიტომაც თეატრებს მართებთ გზა არ აუქციონ სცენის დიდ შემოქმედთა ნაკვალევს. ჩვენი სურვილია, რომ თეატრი შორს და ფართოდ იხედებოდეს, არ იყოს შეზღუდული და კარჩაკეტილი. დაე ჩვენი თეატრი მოძმე ხალხთა და მსოფლიოს მოწინავე თეატრალურ მიღწევათა გამოყენებით ამდიდრებდეს თავის ხელოვნებას.

ამ მხრივ ცოტა რამ როდი კეთდება. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები ეცნობიან ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევებს და ჩვენი მაყურებლებიც გულთბილად იღებენ უცხოეთიდან ჩვენს ქვეყანაში სგასტროლოდ ჩამოსულ თეატრალურ კოლექტივებს და სცენის ცალკეულ ოსტატებს. ამ დღეებში რუსთაველის თეატრის სცენაზე თავის წარმოდგენებს უჩვენებს ჟანვილარის ფრანგული დრამატული თეატრი.

ჩვენმა მაყურებლებმა ნახეს ბერძნული თეატრი ჩვენი დროის სახელოვანი ტრაგიკოსი მსახიობი ქალის ასპაზია კაპატანასიოს მონაწილეობით. ეს კეთილმყოფელი ურთიერთობა დღითიდღე ვითარდება და იზრდება. ვუსურვოთ ჩვენს თეატრებს ცხოვრებისეულის და თეატრალურის, წარსულის გამოცდილების და ახლის ძიებათა შერწყმით ამაღლებდეს თავის ხელოვნებას.

პარტია მოგვიწოდებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდეთ სოფლის მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას. სასცენო ხელოვნების მონაპოვარი ხახლოდ მისაწვდომი უნდა იყოს. განა დასანანებელი არ არის, რომ საქართველოს მთელ მთიანეთში (ყაზბეგში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვაგანაც) მონატრებული არიან კონცერტებს, წარმოდგენებს სცენის ოსტატთა მონაწილეობით. თეატრალურმა საზოგადოებამ უნდა უწინამძღვროს სასცენო ხელოვნების მუშაკთა თავგამოდებას, რათა მხატვრული საზრდო არ მოვაკლოთ მთიანეთს, შორეულ დაბებსა და სოფლებს.

უფრო მეტი ყურადღება, გულისყური და მზრუნველობა გვმართებს სახალხო თეატრების მოძრაობისადმი. ამ დღეებში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე წარმატებით მიმდინარეობს ხახალხო თეატრების დათვალიერება. აუცილებელია შეკვმნათ ხახალხო თეატრების ერთიანი ცენტრი — რესპუბლიკური სამხატვრო საბჭო, რომელიც გააერთიანებს და სწორად წარმართავს ხაზოგადოებრივ ძალღონეს თეატრალური თვითმოქმედების ზრდისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

და ამ სათეატრო დღეობის აღნიშვნისას ერთი საკითხიც უნდა დავაყენოთ. სათეატრო უმაღლეს განათლებას უმეტეს წილად თბილისელები ეტანებიან. თეატრალურ ინსტიტუტში იშვიათად მოდიან ახალგაზრდები საქართველოს სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. ამით, რასაკვირველია, ხასცენო ნიჭიერებით დაჯილდოებულთა შერჩევა დასანანებლად იზღუდება. ყოველივე უნდა ვიღონოთ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში საქართველოს ყველა ქალაქიდან და სოფლებიდან მოვიზიდოთ სასცენო მოსაცემებით გამორჩეული ახალგაზრდები. ამით დიდად დავეხმარებთ სცენისათვის ღირსეული მხატვრული ცვლის აღზრდის საქმეს და სამსახურს გავუწევთ თეატრის მზეგრძელობას. და ერთი საკითხიც: ცნობილია, რომ ჩვენს ხალხს უყვარს დღეობა-დღესასწაული, მისი ნაირფერობა, მისი წარმტაცი სიხალისე. მაშ რატომ ასე უფერულად, ასე უხალისოდ ვაწყობთ დღესასწაულებს? დაე ჩვენმა რეჟისორებმა, შემოქმედმა მუშაკებმა, მხატვრებმა და მუსიკოსებმა თავიანთი ნიჭით და ოსტატობით ჩვენს დღესასწაულებს ნამდვილი საზეიმო დღეობის ხასიათი მოუპოვონ. ეს მათ უნდა მოვთხოვოთ და ამის შესაძლებლობაც მივცეთ.

დიმიტრი ჯანელიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ბასტროლები და შთაბეჭდილებები

ხალსი ხელოვნება

ჭან ვილარის ფრანგული თეატრი თბილისში

თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობის ნაირგვარობაში ჟან ვილარი არ გამორიცხავს შემთხვევას, როცა ავტორი ამბობს ერთს, მსახიობი თამაშობს მეორეს, მაყურებელი კი ხედავს მესამეს. თეატრის სამსახურში უკანდაუხეველ რაინდს ცხადად წარმოუდგენია ის ბუნებრივი სიმთლე, რომელიც შესაძლოა უნებურად გამოვლინდეს ავტორის, რეჟისორის, მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობაში. ამიტომაც ასეთ უტეხ ნებისყოფას იჩენს ვილარი — რეჟისორი. იგი ყოველნაირად ცდილობს, რომ მსახიობმა მაყურებელს ავტორის აზრი შეუმცდარად წარმოუდგინოს. ამასთანავე ვილარს აფიქრებს მაყურებლის შესაბამისი საზრიანობა, მაყურებლის განწყობა ავტორისეული ჩანაფიქრის ჯეროვან შეცნობისათვის. ვილარის აზრით დღევანდელი დღე ერთნაირად ითხოვს თეატრისაგან მეტ შემოქმედებითს ძიებას და მაყურებლისაგან მეტ დამკვირვებლობას ამ ძიებათა შედეგისადმი.

ვილარმა ღრმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მას საშუალება მიეცა გასცნობოდა საბჭოთა მაყურებლებს, რომლებიც სწორედ ამ თვისებით გამოირჩევიან. გამორჩენილი თეატრალური მოღვაწის შეხვედრებებიდან ის აზრი გამოსჭვივის, რომ მაყურებლის კულტურა ჯამოიხატება არა იმდენად „სცენური საკვირველების“ საპასუხო რეაქციაში, რამდენადაც იმ სპექტაკლის აღღოს აღებაში, რომელიც ერთგვარ ჩვევასა და გონივრულ დამკვირვებლობას მოითხოვს.

ვილარის „ძეწნმა“ თავიდანვე დაგვაინტერესა, მაგრამ თუ პირველ სპექტაკლზე ჯარპაგონე ნაკლებად საშიში მოგვეჩვენა. მის შემდეგ ვილარის მხატვრულად გადაწყვეტამ თავისაკენ გადაგვიბარა.

თავის წიგნში „თეატრალური ტრადიციის შესახებ“ ვილარი აღნიშნავს, რომ ყოველნაირად ეცადა დებრუნებინა „ძეწნისათვის“ მისთვის დამახასიათებელი მოლიერისებური ფარსის „სურნელება“. ოქვი არ შეგვიძლია არ დავძინოთ, რომ ვილარმა ამგვარად გაგებული „ძეწნი“ დაკვიხსიათა ფარსის ხერხების უაღრესად ზომიერი გამოყენებით. სწორედ მხატვრულ ხერხთა ამ სიძუნწეში „ძეწნის“ შემსრულებელი თანდროულად იქტიორული ბუნება ამეტყველდა. ვილარი ამკარად წინააღმდეგია ამ ცნობილი სახის უზომოდ დიდი წონადობისა. მაგრამ ამასთანავე მსახიობი ბრწყინვალედ კამოხატავს მარქსის მიერ შენიშნულ „კონფლიქტს მომხვეჭელობის, ენებასა და სიტყვიერების წყურვილს შორის“.

მარიოს „ოლბლიან ფანდში“ ვილარი მაყურებლის წინაშე წარსდგა როგორც რეჟისორი. XVIII ს. ცნობილი ფრანგი მხატვრის ბუშეს ელასტიკურ ხაზებში მოუქარგავს მას ცოცხალი გობელენი, რომლის ცენტრში ქანდაკეა პაჟის მომხიბვლელი გრაფინას სახე მოუთავსებია. ამ შესანიშნავი მსახიობი ქალის მოძრაობა თუ: ფესტი ვივალდის პაეროვანი მელოდიის პლასტიკურ გამოხატულებათ აღიქვება. პაჟის სცენური მოქმედება აშკარავებს ორტიტული ნიჭის გამოვლინების თავისუფალ, შეუზღუდველ არეს და სპექტაკლის დამდგმელის რეჟისორულ ტაქტიკას. ვილარი „ფრთების უშლის“ ნიჭიერ მსახიობს და ამასთანავე გზასაც ეძლევა. „ემოციური კონტაქტი თეატრში იბადება პუბლიკასთან, კაფენციასთან, რიტმთან ერთად“, — წერს ვილარი და ამასვე გვიმტკიცებს ქენეგიეკა პაჟი მარიოს კომედიაში.

ჩვენს მოკლე შენიშვნებს, ცხადია, რეცენზიის პრეტენზია არა აქვს და მაინც არ შეგვიძლია არ მივესალმოთ ვილარის ფრანგული თეატრის მსახიობებს, პირველად რომ გვეწვივნენ საქართველოს დედაქალაქში: ჟან კრისტიან მინა